სამხრეთკავკასიის ქვეყნების სოციალური სისტემები

მარიამ ნანიტაშვილი
სტუ დოქტორანტი

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალური მდომარეობა მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აქტიურად ახორციელებენ სხვადასხვა რეფორმას ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარობის გაუმჯობესების მიზნით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ევროსტანდარტებთან მიახლოვებისა და ევროინტეგრაციისათვის საჭიროა რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება და ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და სხვადასხვა თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა.

საქართველო

საქართველოში უკანასკნელ წლებში მრავალი სოციალური რეფორმა გატარდა, თუმცა რიგი საკითხები კვლავ გადაუჭრელი რჩება. შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება და უმუშევრობის შემცირება საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის საკვანძო პრობლემაა. დასაქმების დაბალი დონე განაპირობებს საოჯახო მეურნეობის შემოსავლების დაბალ დონეს და მრავალ ნეგატიურ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგს უკავშირდება.

საქართველოში დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკისა და შრომის ბაზრის საკანონმდებლო რეგულირება ჯერ კიდევ ვერ პასუხობს საქართველოს ხელისუფლების მიერ რატიფიცირებულ, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს „ევროპის სოციალური ქარტიით“ განსაზღვრული სტანდარტების დანერგვა, რაც ითვალისწინებს პროფესიული კავშირების უფლებების დაცვას და შრომის ძირითადი სტანდარტების უზრუნველყოფას „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციის შესაბამისად.

საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლები საშუალებას აძლევს დამქირავებელს, გაფრთხილების გარეშე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება დაქირავებულს. კოდექსის 49-ე მუხლი აღიარებს დაქირავებულის გაფიცვის უფლებას, მაგრამ 51-ე მუხლი, ფაქტობრივად, ზღუდავს დაქირავებულის გაფიცვის უფლებას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება და 2009 წელს, უმუშევრობის დონემ 16,3%-ს მიაღწია, რაც 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4%-ით აღემატება.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების სექტორის დაფინანსება, თუმცა სხვა სექტორების დაფინანსება უფრო მეტად არის გაზრდილი. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში განათლებასა და მეცნიერებაზე გაწეული ხარჯები მშპ-სთან და სხვა საბიუჯეტო ხარჯებთან ფარდობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვადასვა ევროპული ქვეყნის ხარჯებს.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში სოციალური პოლიტიკის შემოშავებასა და გატარებას სერიოზული ყურადღება არასოდეს ექცეოდა, რასაც გარკვეულწილად რიგი ობიექტური ფაქტორებიც განაპირობებდა, როგორიცაა: შეიარაღებული კონფლიქტები და მათი სავალალო შედეგები; პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, კვალიფიციური სოციალური კადრების არ არსებობა და სხვ.

აღნიშნული საკითხი უფრო მწვავედ დგას განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რადგან საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში პირდაპირ მოითხოვს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკისა და მისი უზრუნველსაყოფი რეფორმების გატარებას.

საქართველოში თანამედროვე სოციალური სისტემა შემდეგი ძირითადი ნაკლოვანებებით ხასიათდება:

- პენსიების ოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საარსებო მინიმუმს;
- დასაქმებულთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი აღურიცხავია;
- აქტიური დასაქმებულების რიცხვის შეფარდება პენსიონერებთან საგანგაშოა, რაც

არსებულ საპენსიო სისტემის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას უპერსპექტივოს ხდის.

სომხეთი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სომხეთმა, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა, დაიწყო ახალი სისტემის სახელმწიფოს შექმნა, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე აისახა. სოციალური მიმართულებით სომხეთში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები და სახელმწიფო პროგრამები.

სახელმწიფომ 2004 წლიდან გააქტიურა შრომით სფეროზე მიმართული ძალისხმევა და განახორციელა რიგი სახელმწიფო პროგრამები. აღნიშნულმა პროგრამებმა გამოიღო გარკვეული შედეგი და სამუშაოს მაძიებლების მცირე ნაწილი დასაქმდა. მიუხედავად ამისა, მაინც მცირედია პროცენტული მაჩვენებელი სამუშაოს მაძიებლებისა, რომლებიც დასაქმნენ სახელწიფო დასაქმების პროგრამებით.

შრომის სფეროს რეგულირების სტანდარტების რეგორმირების პოლიტიკა ხორციელდება ინსტიტუციონალურ დონეზე, თუმცა ხშირ შემთხვევებში ამგვარ პოლიტიკას აქვს ზედაპირული ხასიათი და შეიმჩნევა განხორციელებული რეფორმებიდან გადახვევის მცდელობა, რისი მაგალითიცაა ის ფაქტი, რომ სომხეთის რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ პირველივე მოსმენაზე (27.04.2010) მიიღო შრომის კოდექსის ცვლილებებისა და დამატეტების ახალი პაკეტის შემოთავაზება.

სახელმწიგოს ძირითადი გრძელვადიანი სტრატეგიული დოკუმენტის („მყარი განვითარების პროგრამა“, დამტკიცებული სომხეთის მთავრობის მიერ 2008 წელს) თანახმად, განათლების სექტორი დღესდღეისობით მყარი განვითარების პროგრამის მთავარ პრიორიტეტში შედის.

მიუხედავად 2002-2008 წლებში დაფიქსირებული ზრდის ტენდენციისა, მშპ-ში განათლებაზე სახელმწიფო დანხარჯების წილი შეადგენდა 3.1%. საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ხარჯების დიდი ნაწილი გამიზნულია ზოგადი საშუალო განათლების სფეროსთვის, ხოლო პროფესიული განათლების პროგრამები აღნიშნული ბიუჯეტის მხოლოდ 9%-ს იღებენ.

რაც შეეხება საპენსიო სისტემას, სომხეთში მოქმედებს დისტრიბუციული (სოლიდარული, შემოსავლებიდან გადახდა) საპენსიო სისტემა, რომელიც ფინანსდება დამსაქმებლებისა და დასაქმებული პირების მიერ ბიუჯეტში შეტანილი სოციალური უზრუნველყოფის გადახდილი თანხდებიდან. სავალდებულო სოციალური უზრუნველყოფის საბიუჯეტო შენატანები აკუმულირდება სახელმწიფო ბიუჯეტში და მთლიანად გამოიყოფა პენსიების გასაცემად. რეალურად გამოიყენება ე.წ. „თაობებს შორის სოლიდარობის“ პრინციპი, რომელიც ნიშნავს, რომ დასაქმებულები უხდიან პენსიებს პენსიონრებს. თუმცა, მომავალი წლების პროგნოზები ადასტურებს, რომ დისტრიბუციულ სისტემაში მრავალი პრობლემა არსებობს, რომელიც აუცილებლად გადაიზრდება თაობებს შორის სოლიდარობის პრონციპის დარღვევაში.

სომხეთში შეინიშნება პენსიების დაბალი დონე, რაც ძირითადად სისტემაში გადასახადების შემტანთა დაბალ რაოდენობას და ხელფასების დაბალ დონეს უკავშირდება. დასაქმებული პირები არ არიან დაინტერესებული შენ-

სომხეთში სამუშაოს მაძიებელთა და დასაქმებულ პირთა რაოდენობა 2004-2009 წლები

წლები/კატეგორი	სამუშაოს მაძიებელი	დასაქმებული პირები	სამუშაოს მაძიებლიდან დასაქმებულის %
2004	142664	7893	5.5
2005	120941	8296	6.9
2006	102172	8268	8.1
2007	89367	8322	9.3
2008	90244	8657	9.6
2009	99300	9314	9.4

ატანები გააკეთონ საპენსიო სისტემაში, რომელიც არ არის სტაბილური და საშუალო სამომხმარებლო კალათისათვის საკმარის პენსიასაც კი ვერ უზრუნველყობს. უფრო მეტიც, ისინი არ არიან მოტივირებულები, შენატანი გააკეთონ საპენსიო სისტემაში, რადგან ეს მათ მომავალ პენსიებზე გავლენას არ იქონიებს. რაც შეეხება დამსაქმებლებს, ისინი ცდილობენ თავი აარიდონ სავალდებულო სოციალურ გადასახადებს, რისთვისაც მალავენ მუშახელის ან გაცემული ხელფასების რეალურ ოდენობას.

აზერბაიჯანი

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ბევრი სახელმწიფოს მსგავსად აზერბაიჯანაში მრავალი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმა განხორციელდა. სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გამო, მოსახლეობას მოუწია ახალ პირობებთან ადაპტირება. ამგვარად, საბაზრო ეკონომიკის პირობებთან ადაპტაციის პროცესი და შესაბამისი ეკონომიკური ცოდნისა და ბიზნეს-უნარების არქონა, ართულებდა მოქალაქეების მდგომარეობას და აუარესებდა მათ საყოფაცხოვრებო პირობებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შრომის ბაზარზეც აისახა.

შრომის ბაზრის განვითარებისა და უმუშევრობის დონის შემცირებისთვის სახელმწიფომ გაატარა გარკვეული რეფორმები. ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკა ხელმძღვანელობს დასაქმების სტრატეგიით, რომელიც გაწერილია 2006-2015 წლებზე და ეფუძნება აზერბაიჯანის პრეზიდენტის ბრძანებას „აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“, ასევე პრეზიდენტის ბრძანებულებით „2004-2008 წლების აზერბაიჯანის რესპუბლიკის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამას“.

აზერბაიჯანში მოქმედებს რესპუბლიკის დასაქმების სტრატეგიის განხორციელების სახელმწიფო პროგრამა (2007-2010 წწ.), რომლის ძირითადი ამოცანაა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასაქმების სტრატეგიაში (2006-2015წწ.) გაწერილი პრიორიტეტების რეალიზება მოსახლეობის დასაქმებისათვის საჭირო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური გარემოს შექმნის საფუძველზე.

რაც შეეხება განათლების სფეროს, ქვეყნის დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზევე მთავრობამ აღნიშნული მიმართულება განსაზღვრა, როგორც მყარი განვითარებისა და გლობალურ ეკონომიკაში ქვეყნის ინტეგრაციის საჭირო მთავარი მექანიზმი. განათლების სფეროში პირველი ინვესტიციები მიზნად ისახავდა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მასწავლებელთა ხელფასების ეტაპობრივ ზრდას, ახალი სასწავლო პროგრამის შემოღებასა და სკოლებში ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ინტეგრაციას.

აზერბაიჯანში მოქმედი კანონმდებლობა პენსიის რამდენიმე სახეობას განსაზღვრავს. გარდა ამისა, კანონში განსაზღვრულია ადამიანთა კატეგორიები, რომელთაც ეკუთვნით პენსია. კანონის თანახმად, საპენსიო სისტემაში, კონცეპტუალური თვალსაზრისით, პენსიის სამი სახეობაა: კორპორაციული – სახელმწიფოს მიერ დომინირებული სადაზღვევო მოდელი, რეზიდუალური – სახლემწიფო პენსიას უხდის მხოლოდ საჭიროების მქონე პირებს, უნივერსალური – მთავარი სოციალური უფლებები და სახელმწიფოს დომინანტობაა.

საერთაშორისო გამოცდილების, საერთაშორისო სტანდარტების, საპენსიო სისტემის არსებული ვითარებისა და ამ სისტემის განვითარების შესაძლებლობების მიმოხილვის საფუძველზე, საპენსიო სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის საჭიროა ელექტრონული საპენსიო ბაზის პროგრამის შექმნა, სავალდებულო სახელწიფო სოციალური დაზღვევის ფასებისა და სოციალური დაზვღვევის გადასახადებს შორის პირდაპირი კავშირის უზრუნველყოფა სტაბილური და მყარი სადაზღვევო საპენსიო სისტემის გასავითარებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო - მასალები. ჟ. სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები), 2011 წლის სპეციალური ნომერი 1 (13)
2. ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი, 2010წ.
3. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, „ევროკავშირი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო“ ბიულეტენი №102, 2006 წელი
4. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, დასაქმების პროგრამები საქართველოში, 2008 წელი
5. www.geostat.ge

SOCIAL SYSTEMS OF SOUTH CAUCASIAN COUNTRIES

MARIAM NANITASHVILI - PhD student of GTU

Social systems of South Caucasian countries are more or less different. Since Independence Georgia, Azerbaijan and Armenia actively implement various reforms to improve economic growth and social conditions. However, the will to be close to European standards and European integration requires significant changes and commitments, regarding implementation of declared liabilities. Also very important direction is cooperation under diverse international agreements and performance of the contract terms.

СОЦИАЛЬНЫЕ СИСТЕМЫ СТРАН ЮЖНОГО КАВКАЗА

МАРИАМ НАНИТАШВИЛИ - докторант ГТУ

Социальные системы стран Южного Кавказа являются более или менее различны. С момента обретения независимости Грузия, Азербайджан и Армения активно реализуют различные реформы в целях повышения экономического роста и социальных условий. Тем не менее, будет близка к европейским стандартам и европейской интеграции требует существенных изменений и обязательства, касающиеся осуществления объявленных обязательств. Также очень важным направлением является сотрудничество в рамках различных международных соглашений и выполнения условий договора.